გიორგი ბადრიძე

მოწვეული ლექტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელფოსტა: giorgi.badridze@tsu.ge

ბრექსიტის პოლიტიკური მიზეზები: პოპულისტური დისკურსი 2016 წლის რეფერენდუმის კონტექსტში

აბსტრაქტი

ბრექსიტი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას თანამედროვე ევროპულ პოლიტიკაში, რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა როგორც გაერთიანებული სამეფოს შიდა პოლიტიკურ განვითარებაზე, ასევე ევროკავშირის მომავლის დინამიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბრექსიტის შედეგი ხშირად აიხსნება ეკონომიკური, ინსტიტუციური ან გეოპოლიტიკური ფაქტორებით, მზარდი კვლევითი ლიტერატურა მიუთითებს, რომ ამომრჩეველთა ქცევის გასაგებად აუცილებელია პოლიტიკური და დისკურსული ფაქტორების ანალიზი. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ბრექსიტის პოლიტიკური მიზეზების გაანალიზება და იმის ჩვენება, თუ რა როლი შეასრულა პოპულისტურმა დისკურსმა 2016 წლის რეფერენდუმის შედეგის ფორმირებაში.

სტატია ეფუძნება პოპულიზმის თეორიულ ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც პოპულიზმი საზოგადოებას ჰყოფს „ხალხად“ და „ელიტად“ და პოლიტიკას აღიქვამს როგორც ხალხის ნებისა და ელიტის წინააღმდეგობის ბრძოლას. ამ თეორიული მიდგომის გამოყენებით ნაჩვენებია, რომ ბრექსიტის კამპანიაში აქტიურად გამოიყენებოდა დისკურსული სტრატეგიები, რომლებიც ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ბრიტანეთის პოლიტიკურ ელიტას წარმოაჩენდა როგორც „ხალხის ნებას მოწყვეტილ“ ძალას. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სუვერენიტეტის იდეის პოლიტიკურ კონსტრუქციას და იმიგრაციის საკითხის მობილიზაციურ როლს.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ დისკურსულ ანალიზს და იყენებს როგორც პოლიტიკურ განცხადებებს, ისე კამპანიის მასალებს. ანალიზი აჩვენებს, რომ პოპულისტური დისკურსი მოქმედებდა როგორც მექანიზმი, რომელმაც გააძლიერა უკვე არსებული ევროსკეპტიციზმი, გადააქცია სუვერენიტეტი ცენტრალურ პოლიტიკურ სიმბოლოდ და იმიგრაცია აქცია მობილიზაციის მთავარ ფაქტორად. შედეგად, ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადაწყვეტილებას იღებდა არა დეტალური პოლიტიკურ-ეკონომიკური შეფასების საფუძველზე, არამედ გამარტივებული და ემოციურად დატვირთული ნარატივების გავლენით.

სტატიის დასკვნა აჩვენებს, რომ ბრექსიტის ახსნა შეუძლებელია მხოლოდ სტრუქტურული ფაქტორებით. პოლიტიკური დისკურსი, განსაკუთრებით პოპულისტური ნარატივები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე დემოკრატიულ პროცესებში და შეუძლია გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმირებაზე.

საკვანძო სიტყვები: ბრექსიტი; პოპულიზმი; სუვერენიტეტი; იმიგრაცია; პოლიტიკური დისკურსი

შესავალი

დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს (შემდგომში „ბრიტანეთი“ ან „გაერთიანებული სამეფო“) მიერ ევროპის კავშირის დატოვების გადაწყვეტილებამ (შემდგომში „ბრექსიტი“) შედეგად მოიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები არა მხოლოდ ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკისთვის და საგარეო ვაჭრობისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნის პოლიტიკური სისტემისთვის (McGowan, 2017).

ბრიტანეთის გასვლამ ევროკავშირიდან შედეგები გამოიღო თავად ევროკავშირისთვისაც და დიდი ალბათობით გლობალიური გავლენაც იქონია. ბრექსიტის რეფერენდუმიდან რამდენიმე თვეში 2016 წლის ნოემბერში შეერთებულ შტატებში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში „ანტი-ისტებლიშმენტის“ კანდიდატმა დონალდ ტრამპმა (ბრექსიტის დიდმა მომხრემ) გაიმარჯვა. მიუხედავად იმისა, წაახალისა თუ არა

ბრექსიტმა ამერიკელი ამომრჩეველი პოპულისტი კანდიდატისთვის ხმის მიცემისკენ, ერთი რამ ცხადია: ბრექსიტიც და ტრამპის გამარჯვებაც საერთაშორისო პოლიტიკაში ერთგვარი ახალი რეალობის გამოხატულებაა.

ნაშრომის მიზანი და საკვლევი კითხვა:

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გააანალიზოს ბრიტანეთში ევროკავშირიდან გამოსვლის პოლიტიკური მიზეზები: რეფერენდუმის ჩატარების წინაპირობები და ბრექსიტის კამპანიის გამარჯვების მიზეზები და ასევე გაარკვიოს, თუ რა როლი შეასრულა პოპულისტურმა დისკურსმა ამ პროცესში.

შესაბამისად, საკვლევი კითხვაა**:** რა როლი შეასრულა პოპულისტურმა დისკურსმა ბრექსიტის პოლიტიკური მიზეზების ფორმირებასა და 2016 წლის რეფერენდუმის შედეგზე გავლენის მოხდენაში?

ჰიპოთეზა: ავტორის ჰიპოთეზაა, რომ პოპულისტურმა დისკურსმა - სუვერენიტეტის აღდგენის ნარატივისა და იმიგრაციის პოლიტიზების გზით - მნიშვნელოვნად იმოქმედა ამომრჩეველთა მობილიზაციაზე და ხელი შეუწყო ბრექსიტის გამარჯვებას.

მეთოდოლოგია: კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას და იყენებს დისკურსული ანალიზის მიდგომას. კვლევის ობიექტს წარმოადგენს 2016 წლის ბრექსიტის რეფერენდუმის წინასაარჩევნო კამპანია. ანალიზი ეყრდნობა პოლიტიკური ლიდერების საჯარო გამოსვლებს; კამპანიის ლოზუნგებსა და ვიზუალურ მასალებს; მედია დისკურსში გამოკვეთილ ძირითად ნარატივებს.

კვლევა ფოკუსირდება სამ ანალიტიკურ განზომილებაზე: პოპულისტური ნარატივების სტრუქტურა („ხალხი vs ელიტა“); სუვერენიტეტის დისკურსული კონსტრუქცია; იმიგრაციის პოლიტიზაცია როგორც მობილიზაციის მექანიზმი.

კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს ბრექსიტის ოფიციალურ საკამპანიო პერიოდს – 2016 წლის თებერვლიდან 23 ივნისამდე (რეფერენდუმის დღემდე); ცალკეული საკვანძო გამოსვლები და დისკურსული ეპიზოდები, რომლებმაც არსებითად განსაზღვრეს კამპანიის ნარატივი, საჭიროების შემთხვევაში, განხილულია ამ ვადების გარეთაც.

წყაროდ გამოყენებულია საკამპანიო მთავარი აქტორების საჯარო გამოსვლები და განცხადებები, ორივე მხარის ოფიციალური სააგიტაციო მასალები (მათ შორის, კამპანიის ლოზუნები და სარეკლამო მასალები) და ეროვნული მედიის მიერ ყველაზე ფართოდ გაშუქებული დისკურსული ეპიზოდები. მასალის შერჩევის კრიტერიუმს წარმოადგენდა მისი თემატური რელევანტურობა კვლევის სამი ანალიტიკური განზომილებისთვის (ხალხი vs ელიტა; სუვერენიტეტი; იმიგრაცია) და კამპანიაში მისი გავლენის ხარისხი, რომელიც შეფასდა მედია გაშუქების მოცულობითა და შემდგომი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი გამოხმაურებით. ანალიზი ტარდებოდა თემატური კოდირების პრინციპით: თითოეული ტექსტი შემოწმდა სამივე განზომილების მიხედვით და კლასიფიცირდა შესაბამისი დისკურსული ნიმუშების მიხედვით.

პოპულიზმის თეორიული განმარტება და მისი ელემენტები ბრექსიტის კამპანიაში

პოპულიზმის თანამედროვე თეორიული განმარტება მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ჰოლანდიელი პოლიტიკური მეცნიერის კას მუდდეს (Cas Mudde) ნაშრომებს. Mudde (2004) პოპულიზმს განსაზღვრავს როგორც იდეოლოგიას, რომელიც საზოგადოებას განიხილავს როგორც ორ ჰომოგენურ და ანტაგონისტურად დაყოფილ ბანაკად - „წმინდა ხალხად“ და „კორუმპირებულ ელიტად“. ამ ხედვის მიხედვით, პოლიტიკა უნდა გამოხატავდეს ხალხის ზოგად ნებას. პოპულიზმი ვიწრო თვალსაწიერის იდეოლოგიაა იმიტომ, რომ მას არ გააჩნია სრულად განვითარებული ნორმატიული პროგრამა და ამიტომ ხშირად ერწყმის სხვა უფრო „ფართო“ იდეოლოგიურ ჩარჩოებს, როგორიცაა ნაციონალიზმი ან ნატივიზმი (Mudde, 2007). ბრექსიტის კამპანიის ანალიზისას სწორედ ასეთი იდეოლოგიური კომბინაცია ჩანს. პოპულისტური დისკურსი გამოიყენებოდა იმისათვის, რომ ევროკავშირის ინსტიტუტები და ბრიტანეთის პოლიტიკური ელიტა წარმოჩენილიყო როგორც „ხალხის ნებას მოწყვეტილი“ ძალა. ამავე დროს, კამპანიის მნიშვნელოვანი ნაწილი ეფუძნებოდა ნაციონალისტურ არგუმენტაციას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო სუვერენიტეტი უნდა იყოს ეროვნული დემოკრატიის მთავარი საფუძველი.

ნაციონალიზმისა და ნატივიზმის განსხვავება ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ნაციონალიზმი ძირითადად დაკავშირებულია პოლიტიკურ თვითგამორკვევასთან და ეროვნული სახელმწიფოს ლეგიტიმაციასთან, მაშინ როდესაც

ნატივიზმი უფრო მკაცრ კულტურულ და ეთნიკურ საზღვრებს გულისხმობს. მადდე ნატივიზმს განსაზღვრავს როგორც იდეას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო უნდა იყოს „ადგილობრივი“ მოსახლეობის საკუთრება და უცხო კულტურული ელემენტები საფრთხეს უქმნის ეროვნული საზოგადოების ერთიანობას. ბრექსიტის კამპანიაში იმიგრაციის საკითხმა სწორედ ასეთი ნატივისტური ელემენტები შეიძინა (Mudde, 2007). იმიგრაცია ხშირად იყო წარმოდგენილი არა მხოლოდ ეკონომიკურ პრობლემად, არამედ კულტურულ გამოწვევადაც. ამით ის გადაიქცა მძლავრ პოლიტიკურ ბერკეტად, რომელმაც ამომრჩეველთა მობილიზაცია მნიშვნელოვნად გააძლიერა. ბრექსიტის კამპანიაში სუვერენიტეტი ცენტრალურ სიმბოლურ კატეგორიად იქცა. ლოზუნგი „კონტროლის დაბრუნება“ („Take Back Control“) შეიძლება განვიხილოთ როგორც დისკურსული ჩარჩო, რომელიც პოლიტიკურ რეალობას მარტივ და ემოციურად დატვირთულ ფორმულაში აქცევს. სუვერენიტეტის ამგვარი ფორმულირება არ არის მხოლოდ იურიდიული ან ინსტიტუციური კატეგორია; ის წარმოადგენს პოლიტიკურ ნარატივს, რომლის საშუალებითაც კონსტრუირდება წარმოდგენა დაკარგული კონტროლის შესახებ. დისკურსული პოლიტიკის კვლევები აჩვენებს, რომ მსგავსი ჩარჩოები ხშირად მოქმედებს როგორც მობილიზაციის ინსტრუმენტი. როდესაც პოლიტიკა წარმოდგენილია როგორც ბრძოლა „ხალხის კონტროლის“ აღსადგენად, ეს ქმნის ძლიერი ემოციური იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ ბრექსიტის კამპანიაში სუვერენიტეტის თემა ხშირად იყო დაკავშირებული დემოკრატიის აღდგენის იდეასთან. თანამედროვე კვლევები ხშირად მიუთითებენ, რომ იმიგრაცია გახდა ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც აყალიბებს ახალი ტიპის პოლიტიკური დაყოფას და იქცევა მობილიზაციის ინსტრუმენტად (Mudde, Kaltwasser, 2017).

ბრიტანეთის შემთხვევაში ეს განსაკუთრებით აშკარა იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მომუშავე მიგრანტების ზრდის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური კვლევების დიდი ნაწილი მიუთითებდა, რომ იმიგრაციას მთლიანობაში პოზიტიური ეკონომიკური ეფექტიც ჰქონდა, პოლიტიკური კამპანია ხშირად ფოკუსირდებოდა სოციალური სისტემების დატვირთვაზე, სამუშაო ადგილებზე კონკურენციასა და კულტურულ ცვლილებებზე. ამგვარი ნარატივი ქმნიდა მკაფიო „ჩვენ და ისინი“ დაყოფას, რაც პოპულისტური პოლიტიკის კლასიკურ მექანიზმს წარმოადგენს.

შედეგად, პოპულიზმმა იმიგრაცია აქცია არა მხოლოდ პოლიტიკის ერთ-ერთ თემად, არამედ მთავარ მამობილიზებელ ფაქტორად.

ბრექსიტის წინაპირობები

დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკური სისტემა სრულიად უნიკალურია. ამას რამდენიმე მიზეზი გააჩნია. პირველი ის გრძელი ევოლუციური გზაა, რომლის შედეგადაც ის ჩამოყალიბდა (Mannin, 2010).

პოლიტიკური სისტემის თანმიმდევრულ და მეტნაკლებად უწყვეტ ევოლუციურ პროცესს ხელი შეუწყო დანარჩენი ევროპული ქვეყებისგან გამორჩეულმა რამდენიმე ისტორიულმა რეალობამ: ინგლისი და მის გარშემო ჩამოყალიბებული ბრიტანული სახელმწიფო ბოლო თითქმის ათასი წლის განმავლობაში არ ყოფილა დაპყრობილი უცხო ქვეყნის მიერ. ამის გარდა, ქვეყანას, მცირე და მოკლევადიანი გამონაკლისების გარდა, არ განუცდია ისეთი რევოლუციური კატაკლიზმები, რომლებიც მყისიერად და ძირეულად შეცვლიდა არსებულ პოლიტიკურ სისტემას (მსგავსად რევოლუციური ომისა ამერიკის დამოუკიდებლობისთვის, საფრანგეთის რევოლუციისა, გერმანიის მარცხისა პირველ და მეორე მსოფლიო ომებში, ბოლშევიკური გადატრიალებისა რუსეთში და ა.შ.). თავისი გეოგრაფიით და ისტორიული გზით ბრიტანეთის გამორჩეულობა დანარჩენი ევროპისგან ისტორიული რეალობაა, თუმცა ბოლო წლებში ამ თემას გარკვეულ წრეებში პოლიტიკური მიზნებით მიუბრუნდნენ და ბრექსიტის იდეოლოგიის ნაწილად აქციეს (Chabal, 2015). ამაში არაფერი იქნებოდა უჩვეულო, რომ არა ის სახიფათო დასკვნები, რომლებსაც ბრიტანული გამორჩეულობის და განსაკუთრებულობის (exceptionalism) იდეის მომხრეები აკეთებენ - მათი აზრით, ბრიტანეთი ევროპისგან არა მხოლოდ განსხვავებულია, არამედ მის გარეთ უფრო მეტ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წარმატებას მიაღწევს. ეს იდეა, განსაკუთრებით თანამედროვეობის გამოწვევების ფონზე, სერიოზულ რისკებს შეიცავს (Tilford, 2017).

ბრიტანეთის პოლიტიკური სისტემის წარმოქმნის უნიკალურმა ევოლუციურმა გზამ (მას მხოლოდ შვედეთის გამოცდილება შეიძლება შევადაროთ) შედეგად მოიტანა მისი

მდგრადობა და ეფექტურობა. ალბათ ეს მაჩვენებლები გახდა იმის მიზეზი, რომ ბრიტანული იმპერიისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც მრავალმა ქვეყანამ ამჯობინა ბრიტანეთისგან მემკვიდრეობით მიღებული პოლიტიკური სისტემის მთავარი მახასიათებლების შენარჩუნება. დღეს ეს ქვეყნები მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოები არიან, რომლებშიც ყველაზე განვითარებული და წარმატებული საზოგადოებები ცხოვრობენ (მაგალითად კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სხვები).

ამგვარად, დიდი ხნის განმავლობაში მიღებულ ფაქტად ითვლებოდა, რომ ბრიტანეთმა მსოფლიოს მისცა ალბათ ყველაზე სამართლიანი და ეფექტური პოლიტიკური სისტემის საფუძვლები, რომელიც ევოლუციური გზით განვითარდა 1215 წელს მეფე ჯონის მიერ თავისუფლების დიდი ქარტიის დამტკიცების მომენტიდან (Mannin, 2010).

თავად ბრიტანეთში ხსენებული სისტემის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი ის იყო, რომ პოლიტიკური ინსტიტუტები ემსახურებიან არა ძალიან ვიწრო ელიტის, არამედ საზოგადოების უმრავლესობის ინტერესებს. ამომრჩეველი დიდი ხანია მიეჩვია საკუთარი პრაგმატული ინტერესებისთვის ხმის მიცემას, განსხვავებით იდეოლოგიურად მოტივირებული გადაწყვეტილებებისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - ბრიტანეთში არსებული უძველესი პოლიტიკური სისტემა უმეტესად საზოგადოების პრაგმატული და რაციონალური ინტერესების რეალიზაციისთვის მუშაობდა და თან ამას საკმაოდ ეფექტურად აკეთებდა.

ეს, ბუნებრივია, ბრიტანელების პოლიტიკური კულტურის გამოხატულებაცაა: პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური სისტემა გარდაუვლად ურთიერთკავშირში იმყოფებიან, რის გარეშეც სტაბილური სისტემა არ არსებობს (Howarth, 2013).

სწორედ ბრიტანული პრაგმატიზმის და პოლიტიკური სისტემის ეფექტურობის შესახებ საყოველთაოდ გავრცელებული წარმოდგენა იყო მიზეზი, რის გამოც 2016 წლის 23 ივნისის რეფერენდუმის შედეგმა - ევროკავშირიდან ბრიტანეთის გამოსვლის გადაწყვეტილების გამარჯვებამ - შოკის ეფექტი იქონია მსოფლიოს პოლიტიკურ და საფინანსო წრეებში. ის, რომ რეფერენდუმში ევროკავშირში დარჩენის მომხრეთა გამარჯვებას ელოდნენ რეფერენდუმის წინა დღეებში ფუნტის გამყარებაშიც გამოიხატა.

დამკვირვებელთა უდიდესი ნაწილი ბრიტანელების მიერ ევროკავშირში დარჩენის სასარგებლოდ ხმის მიცემას ელოდა არა იმიტომ, რომ ვინმე თვლიდა, რომ ბრიტანეთი ევროკავშირის წევრობის გარეშე თავს ვერ გადაირჩენდა. პირიქით, უეჭველია, რომ ეს ქვეყანა თავს მარტოც გაიტანს, მაგრამ რაციონალურ სიბრტყეში საკითხი უნდა ეხებოდეს არა იმას, გადარჩება თუ არა ბრიტანეთი ევროკავშირის გარეთ, არამედ სად უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება კეთილდღეობისთვის.

ევროკავშირში ბრიტანეთის დარჩენის მომხრეები სულაც არ თვლიდნენ, რომ ევროკავშირი უნაკლოა, ან რომ მას ცვლილებები არ სჭირდება. მაგრამ ჯამში, ევროკავშირში (თავდაპირველად ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში) წევრობამ ბრიტანეთზე უზომოდ დიდი და პოზიტიური გავლენა მოახდინა. თუ გავიხსენებთ ქვეყნის მდგომარეობას 1970-იან წლებში, როცა გაერთიანებული სამეფო ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანდა, და 2016 წლის დიდი ბრიტანეთს, უდიდეს კონტრასტს აღმოვაჩენთ. რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ დიდ წვლილს, რომელიც ეკონომიკურად და სოციალურად დასუსტებული ბრიტანეთის კვლავ მსოფლიოს უმდიდრეს და უძლიერეს ქვეყნად ტრანსფორმაციაში მისი ლიდერების რამდენიმე თაობამ შეიტანა - დაწყებული რკინის ლედით და დამთავრებული დევიდ კამერონით. ამავე დროს იმ როლის უგულებელყოფა, რომელიც ერთიან ევროპულ პროექტში ქვეყნის მონაწილეობამ ითამაშა, სრულიად უსამართლო იქნებოდა.

რატომ ჩატარდა ბრიტანეთის ევროკავშირში ყოფნა-არყოფნის რეფერენდუმი?

ევროსკეპტიციზმს ბრიტანეთში ღრმა ფესვები აქვს, მაგრამ მხოლოდ ეს ვერ ახსნის ვერც რეფერენდუმს და ვერც მის შედეგებს. ევროპის „ზედმეტად მჭიდრო კავშირის“ და „ბრიუსელის გაზულუქებული ბიუროკრატიის“ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ბრიტანეთის გარკვეულ წრეებში ათწლეულების განმავლობაში არსებობდა. ოთხმოციან წლებში პრემიერ-მინისტრი ტეტჩერი ღიად დაუპირისპირდა ბრიუსელს და მისგან დათმობებსაც მიაღწია, მათ შორის „რიბეიითს“, რომლის წყალობით საწევრო გადასახადის მნიშვნელოვანი ნაწილი ბრიტანეთის ხაზინას უბრუნდებოდა (Grant, 2013).

ამ წლების მანძილზე ბრიტანელ ევროსკეპტიკოსებს არასდროს მისცემიათ ქვეყნის ევროკავშირიდან გამოყვანის შესაძლებლობა - საკითხი ასე არასდროს დამდგარა. ეს

შესაძლებლობა მაშინ გაჩნდა, როცა დევიდ კამერონმა სცადა საკუთარი პარტიის გააქტიურებული ანტიევროკავშირული ფრთა დაეშოშმინებინა, რომელიც მის ლიდერობას საფრთხეს უქმნიდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც 2010 წელს ის პირველად გახდა პრემიერი: მისი ლიდერობით კონსერვატიულმა პარტიამ გაიმარჯვა (სხვებზე მეტი ხმა მიიღო), მაგრამ აბსოლუტურ უმრავლესობას - საპარლამენტო მანდატების 50%-ზე მეტს - ვერ მიაღწია და იძულებული გახდა ლიბერალ-დემოკრატებთან ერთად კოალიციური მთავრობა ჩამოაყალიბინა.

როგორც ჩანს, კამერონმა რეფერენდუმის შეთავაზება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მზარდი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა პარტიის იმ წევრების მხრიდან, რომლებიც თავად იყვნენ რთულ ვითარებაში ანტიევროპული დამოუკიდებლობის პარტიის პოპულარობის ზრდის და მის რიგებში კონსერვატორების ყოფილი მომხრეების გახშირებული გადასვლის შედეგად (The Economist, 2015).

დევიდ კამერონს, რომელიც თავად ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენის მომხრე იყო, უნდა სცოდნოდა, თუ რაოდენ დიდ რისკზე მიდიოდა. მაგრამ ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა მან საკუთარ კარიერასთან ერთად ქვეყნის ბედი შეაგდო სასწორზე - ძნელად წარმოსადგენია რომელიმე სხვა პრემიერ-მინისტრი, ვინც შოტლანდიის დამოუკიდებლობის თაობაზე რეფერენდუმს დაუშვებდა, მაგრამ მან ეს გააკეთა და 2014 წელს მცირედით გაიმარჯვა (Stasey, 2014). არაა ცნობილი, თუ რამდენ ადგილს დაუთმობენ მომავალში ისტორიის სახელმძღვანელოები დევიდ კამერონის ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელმაც შესაძლებელი გახადა ბრიტანეთის ერთ-ერთი უღრმესი რეცესიის შემდეგ სწრაფი ეკონომიკური აღმასვლა, მაგრამ სავარაუდოა, რომ მისი ისტორიული მემკვიდრეობა სწორედ მის მიერ ინიცირებული რეფერენდუმის შედეგებით განისაზღვრება.

ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებული რეფერენდუმის შეთავაზებამ მას დროებით განუმტკიცა პოზიცია და 2015 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა, თუმცა საბოლოო ჯამში ეს გამარჯვება მას სულ ერთ წელიწადში პრემიერის პოსტის დაკარგვად და მანამდე ბრწყინვალე პოლიტიკური კარიერის დასრულებად დაუჯდა. ამგვარად, დევიდ კამერონი თავისივე რეფერენდუმის

პირველი მსხვერპლი გახდა. თუმცა რეფერენდუმმა უამრავი სხვა, უმეტესად უარყოფითი, შედეგიც მოიტანა, რასაც ქვემოთ შევეხებით.

რატომ და როგორ გაიმარჯვა გასვლის კამპანიამ?

ბრექსიტის გამარჯვებამ დიდი სიხარული მრავალ, ხშირად სრულიად ურთიერთდაპირისპირებულ ძალებში გამოიწვია. მათ შორის იყვნენ არა მხოლოდ მემარჯვენე ნაციონალისტური ან უკიდურესად მემარცხენე იდეოლოგიის ძალები, არამედ ლიბერტარიანელობიც, რომლებიც თვლიდნენ, რომ 23 ივნისს მათ თავისუფლების გამარჯვება იხილეს „ბრიუსელის დიქტატზე“, გამარჯვება საპარლამენტო დემოკრატიისა „აურჩეველ და არაანგარიშვალდებულ ბიუროკრატიაზე“. თუმცა გასვლის მომხრეთა დემოგრაფიული, ასაკობრივი და რეგიონული კონტექსტი სულ სხვა სურათს გვთავაზობს.

მიუხედავად ბევრი ამაღლებული შინაარსის ლოზუნგისა, როგორიც იყო „დავიბრუნოთ ჩვენი ქვეყანა!“, „ჩვენი კანონები ვესტმინსტერის პარლამენტში უნდა იქმნებოდეს“, „არა ბრიუსელის აურჩეველი ბიუროკრატიის დიქტატს“ და ასე შემდეგ, „იპსოს მორის“ (ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სოციოლოგიური კვლევის ორგანიზაცია) კვლევების თანახმად ბრექსიტის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ბრიტანელთა ნაწილის იმიგრაციით გადაღლილობამ ითამაშა (Ipsos MORI, 2016). ამგვარად, წარმომადგენლობითი დემოკრატიის ამაღლებულ იდეალებზე ან უფრო თავისუფალი ბაზრის და ნაკლები რეგულაციების სურვილზე მეტად რეფერენდუმის შედეგზე ვიწროდ გაგებულმა ნაციონალისტურმა განწყობამ იმოქმედა, რაც აქამდე ბრიტანეთში არასდროს ყოფილა გავლენიანი ფაქტორი და რომლის გაძლიერებაც პოლიტიკურ პროცესებში ჩართული ძალების ბრიტანეთისთვის ასევე უჩვეულო პოპულიზმის გააქტიურების შედეგია.

აშკარაა, რომ კონსერვატიული, დამოუკიდებლობის და ლეიბორისტული პარტიების წევრების მნიშვნელოვანი რაოდენობა (და შოტლანდიელი ნაციონალისტების ნაწილიც კი) გააერთიანა „კონტროლიდან გამოსული“ იმიგრაციის შეჩერების სურვილმა.

სტატისტიკური მონაცემებიდან ასევე ირკვევა, რომ ხანდაზმული ამომრჩევლების დიდმა უმრავლესობამ გასვლას დაუჭირა მხარი. დიახ, იმიგრაციამ მართლაც მათ თვალწინ შეცვალა ბრიტანეთი და ამის გამო, შესაძლოა, მათ არჩევანს გაგებით უნდა მოვეკიდოთ, მაგრამ მათი გადაწყვეტილება უმეტესად არასწორი ინფორმაციით და, ხშირ შემთხვევაში, შეცდომაში შემყვანი პოლიტიკური განცხადებებით იყო გამოწვეული.

გასვლის კამპანიის მესვეურთა დაპირება, რომ ბრექსიტი ბრიტანეთს საკუთარი საზღვრების სრულ კონტროლს დაუბრუნებდა, რბილად რომ ვთქვათ, ბოლომდე გულწრფელი არ იყო. აქედან გამომდინარეობდა, რომ იმიგრაციის პრობლემა ევროკავშირის წევრობიდან მომდინარეობდა (რომელიც კავშირის ფარგლებში ევროკავშირის მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებას უზრუნველყოფს). მაგრამ მათ არ უხსენებიათ, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებები ევროკავშირში ბრიტანეთის გაწევრიანებამდე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში, დაიწყო და ყოფილი იმპერიული მეტროპოლიებისთვის საერთო რეალობას წარმოადგენდა. ასევე - ბრიტანეთში მიგრანტთა საერთო რიცხვიდან ევროკავშირის მოქალაქეები მხოლოდ ნახევარს შეადგენენ; დანარჩენი მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან შემოდის და მათზე კონტროლის გამკაცრება ყოველთვის ბრიტანეთის სუვერენული უფლება იყო (რასაც ამომრჩეველს კიდევაც ჰპირდებოდა ყველა წინა მთავრობა), მაგრამ რატომღაც აქამდე ვერ მოხერხდა.

იმიგრაცია არ ყოფილა ერთადერთი საკითხი, რომელიც გასვლის მომხრეთა გუნდმა არაკეთილსინდისიერად გამოიყენა. მათი ერთ-ერთი ლოზუნგი შეეხებოდა ევროკავშირის ბიუჯეტში ბრიტანეთის საწევროს გადაცემას ბრიტანელი ხალხის საჭიროებისთვის. მართალია, კამპანიის ლიდერთა უმრავლესობამ მალევე უარყო ეს დაპირება, მაგრამ ფაქტია, რომ ბრექსიტის კამპანიის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი თვალსაჩინოება იყო ბორის ჯონსონის და მისი თანამოაზრეების ვოიაჟები ბრექსიტის კამპანიის ავტობუსით, რომელზეც ეწერა: „ჩვენ ყოველკვირეულად 350 მილიონ გირვანქას ვუხდით ევროკავშირს, მივცეთ ეს თანხა ჩვენს ჯანდაცვას“ (Huffington Post, 2016). ეს დაპირება, რომელსაც მრავალი ადამიანი წამოეგო, არსებით უზუსტობას შეიცავდა - ბრიტანეთი ხსენებული თანხის მხოლოდ ნახევარს იხდიდა ბრიუსელის ბიუჯეტში და კავშირიდან გამოსვლის შემდეგ ამ თანხის საკმაო ნაწილის

გადახდა მაინც მოუწევდა საერთო ბაზრის წევრობისთვის, რომელში დარჩენასაც ბრექსიტის მესვეურები თავად იმედოვნებდნენ. თანაც, კონსერვატორების მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები დადებითად არასდროს უყურებდნენ ლეიბორისტების მიერ შექმნილ ეროვნული ჯანდაცვის სისტემას და ყველა შესაძლებლობისამებრ მის ბიუდჯეტს კვეცდნენ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც ბრექსიტის გამარჯვება განაპირობა, ევროკავშირში დარჩენის მომხრეთა ბანაკის მდგომარეობა იყო. ერთი შეხედვით, მათ უფრო მეტი ძალა და გავლენა ჰქონდათ, რადგან გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტიის გარდა (UKIP), რომელსაც 650-ადგილიან პარლამენტში მხოლოდ ერთი დეპუტატი ჰყავდა, ყველა მთავარი პოლიტიკური პარტიის ლიდერი ევროკავშირში დარჩენის მომხრე იყო. თუმცა ამ პარტიებში რეალური ვითარება განსხვავდებოდა მათი ოფიციალური პოზიციისგან. მმართველ კონსერვატიულ პარტიაში, რომლის ლიდერი, პრემიერ-მინისტრი კამერონი დარჩენის კამპანიას ხელმძღვანელობდა, ღრმა განხეთქლება იყო და თავად კამერონის მთავრობის მინისტრების ნაწილი აქტიურად უჭერდნენ მხარს ბრექსიტს. ლეიბორისტები, მთავარი ოპოზიციური პარტია, წესით ევროკავშირში დარჩენის გარანტები უნდა ყოფილიყვნენ, როგორც პრო-ევროპული პროგრესული პარტია. თუმცა, თუკი დევიდ კამერონის გარდა ისტორია ვინმეს გამოარჩევს მთავარ დამნაშავედ ბრექსიტის ფიასკოში, ეს ალბათ ლეიბორისტების ლიდერი, ჯერემი კორბინი იქნება. ის თუ რატომ აწარმოა კორბინმა ევროკავშირში დარჩენის კამპანია მხოლოდ ფორმალურად და სრულიად არაეფექტურად საიდუმლო არაა - ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან ის ბრიტანეთის ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში და შემდეგ ევროკავშირში ინტეგრაციის თანმიმდევრული მოწინააღმდეგე იყო და როგორც პარლამენტის წევრი მუდმივად ევროკავშირის საწინააღმდეგოდ აძლევდა ხმას. კონკრეტულად: კორბინმა 1975 წელს ჩატარებულ კენჭისყრაში ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში ბრიტანეთის წევრობის საწინააღმდეგოდ მისცა ხმა. 1993 წელს მან მაასტრიხტის ხელშეკრულების წინააღმდეგ მისცა ხმა, 2007 წელს კი ლისაბონის ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ. 2016 წლის რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ ის მთავრობას მოუწოდებდა დაეჩქარებინა 50-ე

მუხლის ამოქმედება და სულ ბოლო დრომდე ბრიტანეთის ევროპულ საერთო ბაზარში დარჩენის მოწინააღმდეგეც იყო (Wilson, 2016).

ამგვარად, ბრექსიტი ვერ გაიმარჯვებდა, ლეიბორისტულ პარტიას სათავეში პირველად მის ისტორიაში ანტი-ევროპული ლიდერი რომ არ ყოლოდა. ამ ისტორიის ირონია იმაშია, რომ იმ დროს, როცა ბრიტანელი ულტრა-მემარჯვენეების აზრით ბრიუსელი ერთგვარი „კომუნისტური ინტერნაციონალია“, კორბინი და მისი უკიდურესად მემარცხენე უახლოესი გარემოცვა, რომელიც ამ დროს ლეიბორისტულ პარტიას აკონტროლებდა, ბრიუსელს აშკარად „კაპიტალისტურ ინტერნაციონალად“ აღიქვამდნენ და მისგან თავის დაღწევას ბრიტანეთში მშრომელთა ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკური სისტემის აშენების წინაპირობად თვლიდნენ.

ბრექსიტის შედეგები მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში და პოპულიზმის გამარჯვების გაკვეთილი

ბრექსიტის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ევროკავშირის გადამეტებული რეგულაციებისგან თავის დაღწევის შემდეგ ბრიტანეთი ააშენებდა უფრო თავისუფალ ეკონომიკურ სისტემას შინ და დაამყარებდა თავისუფალი ვაჭრობის ახალ შეთანხმებებს საერთაშორისო პარტნიორებთან, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში აანაზღაურებდა ევროკავშირიდან გამოსვლის პროცესთან დაკავშირებულ დანაკარგებს.

რეფერენდუმის პირველი რეალური შედეგები ეკონომიკაზე უდავოდ სავალალო აღმოჩნდა. ბრიტანული გირვანქა სტერლინგი თითქმის ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა, საფონდო ბირჟებმა მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადეს და ავტორიტეტულმა სააგენტომ Standard & Poor-მა ბრიტანეთის საკრედიტო რეიტინგი უმაღლესი AAA-დან AA+ს გამოტოვებით პირდაპირ AA-მდე დააქვეითა. სხვა სააგენტოებიც ასევე მოიქცნენ და მოლოდინი „ნეგატიურით“ შეცვალეს. ბრიტანეთის მშპ-ს აქამდე შთამბეჭდავი 3%-იანი ზრდა (რომელიც ყველაზე დიდი იყო ევროპაში) მნიშვნელოვნად დაეცა და რეფერენდუმის შემდეგ 0.5%-სა და 1.5%-ს შორის მერყეობდა (Whyman, 2017).

ბრექსიტის ეფექტის მეორე ტალღა შეგვიძლია შევაფასოთ იმ ფაქტით, რომ კოვიდის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკის შენელებიდან, რაც ყველა განვითარებულმა ქვეყანამ

იწვნია, ყველაზე დიდხანს ბრიტანეთი გამოდიოდა. ანუ ბრიტანეთის ეკონომიკური ზრდა ყველაზე მცირე აღმოჩნდა ევროპის დიდ ქვეყნებს შორის, რასაც ემატება გაზრდილი ეროვნული ვალი და სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით შემცირებული პროდუქტიულობა (Schomberg, 2024).

ბრექსიტმა ასევე წარმოქმნა ახალი საშინაო პრობლემა, როდესაც გააღვიძა სეპარატისტული დღის წესრიგი ჩრდილოეთ ირლანდიაში და შოტლანდიაში. 1998 წელს ჩრდილოეთ ირლანდიაში დიდი ძალისხმევით მიღწეული სამშვიდობო პროცესის ერთ-ერთი საფუძველი ბრიტანულ ჩრდილოეთ ირლანდიასა და ირლანდიის სახელმწიფოს შორის სახელმწიფო საზღვრის არარსებობა წარმოადგენდა. ევროკავშირიდან გასვლა ორ ქვეყანას აიძულებს საზღვრის დაბრუნებას. ეს არ ნიშნავს აუცილებლად ბერლინის კედლის მსგავსი ზღუდის აგებას, მაგრამ ნებისმიერი გამყოფი ხაზის აღმოცენება საფრთხეს შეუქმნის ათწლეულების სისხლისღვრის შემდეგ მიღწეულ მშვიდობას. შოტლანდიელი ნაციონალისტების მსგავსად, ჩრდილოეთ ირლანდიის შინ ფეინის პარტიის ლიდერებმაც დააყენეს ირლანდიის გაერთიანების თაობაზე რეფერენდუმის ჩატარების საკითხი. სხვა საკითხია, თუ რამდენი შანსი აქვს ჩრდილოეთ ირლანდიაში და შოტლანდიაში დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარებას და მით უმეტეს ამგვარი რეფერენდუმის გამარჯვებას, მაგრამ ფაქტია, რომ ბრექსიტმა ბრიტანეთს ამ რეგიონებში სუვერენიტეტთან (და ჩრდილოეთ ირლანდიაში უსაფრთხოებასთან) დაკავშირებული აქამდე არარსებული პრობლემები შეუქმნა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბრექსიტის გამარჯვებაში ყველაზე მნიშვნელოვან პრაქტიკულ საკითხს იმიგრაციით გადაღლილობა და ბრექსიტის მესვეურების მიერ ამ პრობლემის მოგვარების დაპირება წარმოადგენდა. მაგრამ ისევე, როგორც სხვა პოპულისტური დაპირებები, ეს დაპირებაც სრულიად გაუმართლებელი აღმოჩნდა: ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ იმიგრაციის და განსაკუთრებით არალეგალური იმიგრაციის მასშტაბი მხოლოდ გაიზარდა. ერთადერთი, რაც შეიცვალა, არის იმიგრანტთა თანაფარდობა: თუ ბრექსიტამდე ევროკავშირიდან და დანარჩენი მსოფლიოდან იმიგრანტთა თანაფარდობა 50/50-ზე იყო, ახლა ევროპელთა წილი შემცირდა, ხოლო აზიის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის და სხვა რეგიონებიდან იმიგრანტთა რაოდენობა გაიზარდა და 2022 წელს ჯამში ისტორიული რეკორდი დაამყარა (Palmer, 2024).

ბრექსიტმა აჩვენა არა მხოლოდ პოპულიზმის საფრთხე, არამედ რეალურად არსებული პრობლემებიც, რომელთა გადაჭრაზე ფიქრით ბრიუსელსა და ევროპულ დედაქალაქებში აქამდე პრიორიტეტად არ ქცეულა. ამიტომ ბრექსიტმა, ერთგვარი გამომაფხიზლებელი როლი უნდა შეასრულოს, თუკი ევროკავშირს თვითშენარჩუნების უნარი გააჩნია. მას შემდეგ, რაც ბრექსიტის ეკონომიკური ფასი სულ უფრო ნათელი ხდება, შესაძლოა, ევროკავშირის რეფორმირება ბევრად უფრო მიმზიდველი აღმოჩნდეს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ბრექსიტი ევროპის ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ჯაჭვში პირველი მოქმედება აღმოჩნდა. შესაძლოა, ის თავად არის ევროპაში არსებული კრიზისის ერთ-ერთი სიმპტომი, მაგრამ ამ მოვლენით დაიწყო პროცესი, რომლის შედეგადაც ევროკავშირი აღარასდროს იქნება ისეთი, როგორსაც აქამდე ვიცნობდით.

ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი, რაც ბრექსიტის გამოცდილებიდან უნდა გამოვიტანოთ, ისიცაა, რომ ჩვენს დროში პოპულიზმმა შეიძლება გაიმარჯვოს ყველაზე განვითარებულ საზოგადოებაშიც კი. და ასევე, რომ რეფერენდუმის გამოყენება მხოლოდ უდიდესი სიფრთხილით უნდა ხდებოდეს და ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. რეფერენდუმის აუცილებლობა კიდევ უფრო დაბალია საპარლამენტო დემოკრატიებში, სადაც დემოკრატიული წარმომადგენლობითობის დეფიციტი ისედაც არ არსებობს. ბრიტანეთი კი საპარლამენტო დემოკრატიებში გამორჩეული მაგალითია - ის მსოფლიოს ერთადერთი „საპარლამენტო სუვერენიტეტის“ სახელმწიფოა, რომელშიც პარლამენტი პოლიტიკური ძალაუფლების უმაღლესი ინსტანციაა. სამართლებრივი თვალსაზრისით 2016 წლის რეფერენდუმი მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათისაა და საბოლოო სიტყვა სწორედ პარლამენტს უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა პოლიტიკურ ლიდერთა საკმაო ნაწილს ამის გაგონებაც არ სურდა, სანამ პარლამენტში 50-ე მუხლის ამოქმედების საკითხზე კენჭისყრის აუცილებლობაზე ბრიტანეთის უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო გადაწყვეტილება (Armstrong, 2017).

დასკვნა

2016 წლის 23 ივნისის რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება დიდი ბრიტანეთის ევროპის კავშირიდან გასვლის შესახებ ბრიტანეთის და ევროპის ისტორიაში

უპრეცედენტო მოვლენაა და მან უკვე გამოიღო ღრმა და გრძელვადიანი შედეგები როგორც ბრიტანეთის ისე ევროპის მომავალისვის.

კვლევა აჩვენებს, რომ ბრექსიტის შედეგი მნიშვნელოვნად იყო განპირობებული არა მხოლოდ სტრუქტურული ფაქტორებით, არამედ დისკურსული პროცესებით. პოპულისტურმა ნარატივებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამომრჩეველთა მობილიზაციაში და საბოლოო შედეგის ფორმირებაში.

რეფერენდუმის ჩატარება უკავშირდებოდა ერთის მხრივ, კონსერვატიული პარტიის ლიდერებზე მიმართულ მზარდ წნეხს, რომელიც გაძლიერებული ევრო-სკეპტიკური და ანტი-საიმიგრაციო ძალებიდან მომდინარეობდა და კონკრეტულად პრემიერ-მინისტრის დევიდ კამერონის მცდარ იმედს, რომ ამგვარი რეფერენდუმის შეთავაზებით საკუთარი პარტიის მემარჯვენე ფრთას დააშოშმინება და ამავდროულად ბრიტანეთს ევროკავშირში გაუმჯობესებული პირობებით დატოვებდა.

როგორც ზემოთ ნაჩვენებია, აღმოჩნდა, რომ პოპულიზმმა მოულოდნელად დიდი როლი ითამაშა რეფერენდუმისწინა კამპანიაში და ბრექსიტმა ყველასთვის მოულოდნელად გაიმარჯვა. ის, რომ ბრექსიტის გამარჯვება მისი მომხრეებისთვისაც მოულოდნელი იყო იქიდანაც გამოჩნდა, რომ მათ ევროკავშირიდან გამოსვლის და ახალი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მოწყობის არანაირი პრაქტიკული გეგმა არ აღმოაჩნდათ.

ბრექსიტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბრიტანეთის ეკონომიკაზე. ბრექსიტის მომხრეთა მოლოდინი, რომ ევროკავშირიდან გასვლის შედეგად მიღებული სავაჭრო-ეკონომიკური დანაკარგების კომპენსირება მოხდებოდა სხვა დიდ პარტნიორებთან დადებული ახალი სავაჭრო გარიგებებით არ გამართლდა, როგორც ამას ეკონომიკური დარგის მრავალი ექსპერტი წინასწარმეტყველებდა (Posen, Adam, 2017). ბრიტანეთმა განიცადა საგრძნობი ეკონომიკური ზარალი, რაც უკვე ახდენს გავლენას ბრიტანეთის ძალასა და გავლენაზე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. ამის ერთი გამოხატულებაა აშშ-ზე მეტი დამოკიდებულება უსაფრთხოების სფეროში და მასთან სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის გამყარება. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ გაერთიანებული სამეფოს გაწევრიანება აშშ-ის მიერ ინიცირებული AUKUS-ის პაქტში (ბადრიძე, 2023).

ბრექსიტის რეფერენდუმმა ასევე აჩვენა, რომ პოპულიზმმა შეიძლება წარმატებას მიაღწიოს ყველაზე განვითარებულ დემოკრატიაშიც, როცა დემოკრატიული პოლიტიკური ლიდერების პრიორიტეტები შეზღუდულია მოკლევადიანი პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებით. ბრიტანეთის და ევროკავშირის „გაყრა“ ასევე დიდი გამოცდა აღმოჩნდა ევროკავშირის მდგრადობისთვის, რომელიც მან ჯერჯერობით წარმატებით ჩააბარა.

Giorgi Badridze

Invited Lecturer

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

E-Mail: giorgi.badridze@tsu.ge

Political Causes of Brexit: Populist Discourse in the Context of the 2016 Referendum Campaign

Abstract

Brexit represents one of the most significant political developments in contemporary European politics, with far-reaching consequences for both the United Kingdom and the future of European integration. While the outcome of the 2016 referendum is often explained in terms of economic or institutional factors, a growing body of scholarship emphasizes the importance of political and discursive dynamics in shaping voter behavior. This article aims to analyze the political causes of Brexit and to assess the role of populist discourse in influencing the referendum outcome.

The study is grounded in the theoretical framework of populism, conceptualized as a thin-centered ideology that divides society into two antagonistic groups: the “pure people” and the “corrupt elite.” Within this framework, politics is understood as the expression of the general will of the people against elite domination. Applying this perspective, the article demonstrates that the Brexit campaign extensively employed discursive strategies that portrayed both the European Union and segments of the British political establishment as detached from the will of the people. Particular

attention is paid to the construction of sovereignty as a central political narrative and to the mobilizing role of immigration.

Methodologically, the article employs qualitative discourse analysis, drawing on campaign materials, political speeches, and public messaging. The findings suggest that populist discourse functioned as a mediating mechanism that amplified existing Euroscepticism, transformed sovereignty into a central symbolic category, and framed immigration as a key mobilizing cleavage. As a result, a significant portion of the electorate made decisions not on the basis of detailed policy evaluation, but through simplified and emotionally charged narratives.

The article concludes that Brexit cannot be fully explained by structural factors alone. Political discourse - particularly populist narratives - plays a crucial role in contemporary democratic processes and can significantly shape collective political decision-making.

Keywords: Brexit; Populism; Sovereignty; Immigration; Political Discourse

გამოყენებული ლიტერატურა

ბადრიძე, გიორგი. (2023) AUKUS - ახალი გეოპოლიტიკური რეალობის მომასწავებელი გაერთიანება. უსაფრთხოების მიმოხილვა. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. https://gfsis.org.ge/files/library/pdf/AUKUS-3087.pdf

McGowan, Lee, (2017) Preparing for Brexit – Actors, Negotiations and Consequences, Palgrave Macmillan, Cham, (Chapter 1).

Whyman, Philip B., Petrescu, Alina I., (2017) The Economics of Brexit - A Cost-Benefit Analysis of the UK's Economic Relationship with the EU, Palgrave Macmillan, London

Mannin, Michael L., (2010) British Government and Politics - Balancing Europeanization and Independence, Rowman & Littlefield Publishers, Inc., Lanham, MD (p.11)

Mulligan, William, Simms, Brendan, editors, (2010) The Primacy of Foreign Policy in British History – How Strategic Concerns Shaped Modern Britain, Palgrave Macmillan, London

Mudde, C., & Kaltwasser, C. R. (2017). Populism: A Very Short Introduction. Oxford University Press

Mudde, C. (2004). The Populist Zeitgeist. Government and Opposition, 39(4), 541–563. https://doi.org/10.1111/j.1477-7053.2004.00135.x

Mudde, C. (2007) Populist Radical Right Parties in Europe, Cambridge University Press, Cambridge

Tilford, Simon, (2017) The British and their exceptionalism, Centre for European Reform, London

Howarth, Ian, (2013) The Relationship between Political Socialization, Political Culture and Political Systems, Moosington Press, New York

Grant, Charles, (2013) Thatcher's Legacy to Europe, Centre for European Reform, http://www.cer.eu/in-the-press/thatchers-legacy-europe

The Economist (Dec. 2015) Cameron's Brexit gamble https://www.economist.com/news/britain/21679814-prime-ministers-raising-stakes-other-eu-governments-over-migrants-benefits

Stasey, Kieran, (2014) Scottish referendum: How complacency nearly lost a United Kingdom, Financial Times

https://www.ft.com/content/5d888e34-3ff0-11e4-a381-00144feabdc0

Ipsos MORI, (2016) 4 ways the anti-immigration vote won the referendum for Brexit, https://www.ipsos.com/ipsos-mori/en-uk/4-ways-anti-immigration-vote-won-referendum-brexit

HuffPost UK, (2016) Nigel Farage Says Brexit Campaign's £350m NHS Spend Pledge Was 'Mildly Irresponsible', https://www.huffingtonpost.co.uk/entry/nigel-farage-admonishes-vote-leave-campaigns-350m-nhs-spend-pledge_uk_57d91d34e4b0614ca6be9f19

Wilson, Jeremy, (2016) Jeremy Corbyn wants Britain to remain in the EU - but here are all the times he said it was bad, New Statesman, http://uk.businessinsider.com/jeremy-corbyn-is-making-a-big-speech-saying-we-should-remain-in-the-eu-heres-all-the-times-he-said-the-eu-was-bad-2016-4

Armstrong, Kenneth, (2017) Brexit: High Court ruling on Article 50 explained, Centre for Legal Studies, University of Cambridge, http://www.cam.ac.uk/research/news/brexit-high-court-ruling-on-article-50-explained

Schomberg W., Sen S., Kongkunakornkul P. (2024) Slow growth, high debt - troubled UK economy awaits election winners. Reuters. https://www.reuters.com/world/uk/slow-growth-high-debt-troubled-uk-economy-awaits-election-winners-2024-04-19/

Palmer, Nadine, (2024) Post-Brexit UK migration trends and record highs. Brunel University, London https://www.brunel.ac.uk/news-and-events/news/articles/Post-Brexit-UK-migration-trends-and-the-all-time-highs#:~:text=Contrary%20to%20expectations%2C%20the%20new,double%20this%20amount%2C%20totalling%20333%2C000.

Posen, Adam. (2017) Adam Posen speech on the economic and political effect of Brexit, Peterson Institute for International Economics. https://www.youtube.com/watch?v=EcIkIz98zXU